

ორიბი ჩვენების გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში



აკაკი ზიძინაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სისხლის სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო ნაშრომი

სამართლის სკოლა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბადრი ნიპარიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

აკაკი ბიძინაშვილი

10.02.2025

აბსტრაქტი

2010 წელს საქართველოში ამოქმედდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ახალი რედაქცია, რომელიც ბევრ სიახლეს შეიცავდა. ერთ-ერთი მათგანი იყო ირიბი ჩვენება. სწორედ ამ პერიოდიდან გვხვდება იგი პირველად კანონმდებლობაში, როგორც მტკიცებულების დამოუკიდებელი სახე. იმ პერიოდიდან მოყოლებული დღემდე კანონში ირიბი ჩვენების დეფინიცია რამდენჯერმე შეიცვალა, რისი მიზეზადაც ცალკეულ შემთხვევაში მისი ბუნდოვანება, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კონსტიტუციურ პრინციპებთან შეუსაბამობა სახელდება.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად დღემდე ნაკლოვანია ირიბი ჩვენების დეფინიცია. არ არის დაზუსტებული მისი დასაშვებობის კონკრეტული შემთხვევები და გარემოებები. როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2015 წლის გადაწყვეტილებაში „ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგა“ ნამსჯელი, მნიშვნელოვანია მოხდეს ირიბი ჩვენების კოდექსში სრულყოფილად, ნათლად ასახვა და კანონში ჩამოყალიბდეს კონკრეტული შემთხვევები, რა დროსაც ირიბი ჩვენების გამოყენება იქნება შესაძლებელი.

სხვადასხვა სამეცნიერო წყაროების, სასამართლო გადაწყვეტილებებისა თუ ნორმატიული მასალის გამოყენებით ნაშრომში განხილულ იქნება ირიბი ჩვენების წარმოშობის და განვითარების ზოგადი ისტორია, საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაში ირიბი ჩვენების ადგილის გამორკვევით დადგინდება რა მნიშვნელობა აქვს ცალკეული სახელმწიფოების სამართლებრივი სისტემებისთვის აღნიშნული ტიპის მტკიცებულებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტი კი მნიშვნელობას შეიძენს იმ მიმართულებით, რომ ირიბი ჩვენების

დასაშვებობასთან დაკავშირებით შექმნის ზოგად ჩარჩოს, რომელიც მოცემული მტკიცებულების გამოყენების ფარგლებს და მოცულობას ადგენს. ქართულ კანონმდებლობასა და საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკაში ირიბი ჩვენების გამოყენების მასშტაბების დადგენით კი შეიქმნება წარმოდგენა იმის შესახებ, რა ნაკლოვანებები არსებობს და გამოსწორების რა პერსპექტივებია მომავალში.

ნაშრომის ბოლოს მოცემული იქნება კვლევის შედეგები. გაანალიზებული საკითხებიდან გამომდინარე, რა დასკვნები იქნა გამოტანილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ირიბი ჩვენების დასაშვებობის საკითხის განსასზღვრასთან მიმართებით. მოხდება საკითხის დასმა, თუ რა სახის და მოცულობის ცვლილებას საჭიროებს ირიბი ჩვენების საკანონმდებლო დეფინიცია, რათა მოხდეს მისი სრულყოფილად და ნათლად ჩამოყალიბება კანონში.

Abstract

In 2010, a new version of the Criminal Procedure Code was enacted in Georgia, which contained many innovations. One of them was indirect testimony. It is from this period that it appears for the first time in the legislation as an independent type of evidence. From that period to the present day, the definition of indirect testimony in the law has been changed several times, the reason for which was its vagueness in individual cases and in some cases its inconsistency with constitutional principles.

Despite the changes made in the Criminal Procedure Code, the definition of circumstantial testimony is still lacking. Specific cases and circumstances of its admissibility are not specified. As in the 2015 decision by the Constitutional Court, Zurab Mikadze was sentenced against the Parliament of Georgia, it is important to fully and clearly reflect indirect testimony in the code and to establish in the law specific cases in which it will be possible to use indirect testimony.

Using various scientific sources, judicial decisions and normative materials, the general history of the origin and development of circumstantial testimony will be discussed in the paper, and the importance of this type of evidence for the legal systems of individual states will be determined by clarifying the place of circumstantial testimony in the legislation of foreign countries. The standard of the European Court of Human Rights will gain importance in the direction that it creates a general framework regarding the admissibility of indirect testimony, which establishes the scope and volume of the use of the given evidence. Determining the extent of the use of indirect testimony in the Georgian legislation and the practice of the general courts of Georgia will create an idea of what shortcomings exist and what prospects there are for correction in the future.

The results of the research will be given at the end of the paper. Based on the analyzed issues, what conclusions were drawn regarding the limitation of the issue of admissibility of indirect testimony in the Code of Criminal Procedure. The question will be raised as to what type and volume of changes the legal definition of indirect testimony needs in order to fully and clearly establish it in the law.